ახალ წელს ახალი შრომითი გმირობისათვის, მეგობრებო!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОММУНИСТ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 2 (12514) | ხუთშაბათი, 3 იანვარი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

ყველა ხალხის მეგობრობისათვის! მთელი კაცობრიობის მშვიდობისათვის!

ახალი წლის შეხვედრა კრემლში

ახალი წლის მზე აღმობრწყინდა ჩვენს დიად სამშობლოში. შემოქმედებითი ძალებით აღსავსენი შეეგებენ საბჭოთა კავშირის ხალხები ახალ, ათას ცხრაას სამოცდასამ წელს — დიადი შვიდწლედის მეხუთე წელს. ისტორიაში დარჩა მისი ნინამორბედი — 1962 წელი. საბჭოთა ადამიანებმა ეს წელი აღნიშნეს დიდი წარმატებებით XXII კონგრესის ისტორიულ გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. შემოქმედებითი ენთუზიაზმის ახალი ტალღა წარმოშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა, რომელმაც მიიღო უდიდესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტები.

გასულ წელს სსრ კავშირის ხალხთა ერთსულოვანმა ოჯახმა აღნიშნა ჩვენი მძლავრი სახელმწიფოს — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის შექმნის მე-40 წლისთავი. შემდგომი განვითარება ჰპოვეს ჩვენმა ინდუსტრიამ და სოფლის მეურნეობამ, მეცნიერებამ და ტექნიკამ. გადაიდგა კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი კოსმოსის ათვისებაში. ეს იყო მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების შემდგომი დამკვიდრების, მშვიდობიანი თანაარსებობის ლენინური პოლიტიკის გამარჯვების, სოციალისტურ სახელმწიფოთა, საერთაშორისო მუშათა და კომუნისტური მოძრაობის ერთიანობის განმტკიცების წელი.

კრემლში გაიმართა ახალი წლის ტრადიციული შეხვედრა. იგი მოაწყო საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მთავრობამ.

შეხვედრა მიმდინარეობდა ყრილობათა სასახლეში. ამ გაჩარაღდებულ შენობაში მოვიდნენ მოსკოვის ქარხნებისა და ფაბრიკების ასობით მოწინავე მუშა, მშენებელი, მოსკოვის ოლქის მინდვრის მშრომელნი, ბევრი მეცნიერი, კულტურის მოღვაწე, საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

აქვე არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრები, სსრ კავშირისა და რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოების დეპუტატები, სსრ კავშირისა და რუსეთის სფს რესპუბლიკის მინისტრები, ცენტრალურ უწყებათა და დაწესებულებათა ხელმძღვანელები, საბჭოთა კავშირის მარშლები, საბჭოთა არმისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის გენერლები და ადმირალები.

ახალი წლის შესახვედრად კრემლში მოწვეული იყვნენ სსრ კავშირში აკრედიტებული დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები, სამღვდელოების წარმომადგენლები, საბჭოთა და უცხოელი ჟურნალისტები.

შეკრებილნი გულთბილად მიესალმნენ ამხანაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ბ. ნ. პონომარიოვს, ა. ა. პირილეკოს, ფ. რ. კოზლოვს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. მიკოიანს, დ. ს. კოლისკინს, მ. ა. სუსლოვს, ნ. ს. ხრუშჩოვს, ნ. გ. შვერნიკს, ვ. ვ. გრიშინს, ლ. ნ. ეფრემოვს, რომლებიც დარბაზში შემოვიდნენ.

პატიოსა და მთავრობის ხელმძღვანელები სტუმრებთან ერთად შემოუსხდნენ სადღესასწაულოდ გაწყობილ სუფრას, სტუმართა შორის არიან სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივნები, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილენი, მთავრობის წევრები. და აი, უკვე წუთებიღა დარჩა ახალი წლის დადგომამდე.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა განგლილი წლის სადღეგრძელო. ნიკიტა სერგის-ძემ თქვა, რომ ძველი წელი ჩვენში ძალიან კარგი იყო. მან დიდი ბედნიერება მოუტანა საბჭოთა ადამიანებს, საბჭოთა ხალხმა ახალი წარმატებანი მოიპოვა კომუნიზმის მშენებლობაში. ნიკიტა სერგის-ძემ გამოთქვა რწმენა, რომ მომავალი წელიც ასევე კარგი იქნება.

კრემლის საახალწლო დარბაზობის მონაწილეებმა ყველა მოსკოველთან ერთად, მთელ ჩვენს ქვეყანასთან ერთად მოისმინეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საახალწლო მილოცვა საბჭოთა ხალხისადმი, რომელსაც რადიო გადმოსცემდა.

დარბაზში სინათლე ჩაქრა. გამჭვირვალე ჭერიდან ანათებს ნაზი ცისფერი შუქი, რომელიც ზამთრის ღამის სურათს ქმნის. სცენაზეა ვარსკვლავებით მოჭედილი ცის პანო, რომელზეც გამოსახულია ციფრები „1962“.

მაგრამ აი, დარეკეს კრემლის კურანტებმა. კვლავ იხდება ფარდა და ახლა სცენაზე მოსკოვის ფართო პანორამაა, საზეიმო სალუტის ჩირაღდნებით გასხივოსნებული. ლურჯი ცის ფონზე უკვე ახალი ციფრებია „1963“. ორი მორთულმოკაზმული ლამაზი ნაძვისხე ცისარტყელასავით ინთება.

დარბაზი კვლავ გაჩირაღდნდა. დიდებულად ღღერს საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ჰიმნი.

— მოგილოცავთ ახალ წელს, ამხანაგებო! მოგილოცავთ ახალ წელს, ბატონებო! — წარმოთქვა საბჭოთა მთავრობის მეთაურმა ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა.

დარბაზობის მონაწილეებმა უსურვეს ერთმანეთს ბედნიერება, ახალი წარმატებანი სამშობლოს კეთილდღეობისათვის შრომაში.

საბჭოთა ხელმძღვანელების სუფრასთან საახალწლო მოლოცვებით მოდიან დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები,

ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა პირველი სადღეგრძელო — საბჭოთა კავშირის ხალხებისა, რომლებმაც ააფრიალეს ბრძოლის წითელი დროშა და კაცობრიობის ისტორიაში პირველად მიაღწიეს სოციალიზმის გამარჯვებას. ახლა ამ დროშის გარშემო დარაზმულია მილიარდი ადამიანი. ნიკიტა სერგის-ძემ გულთბილად ილაპარაკა მუშათა კლასზე — საბჭოეთის მძლავრი ინდუსტრიის შემქმნელზე, მშრომელ გლეხობაზე, რომელიც ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, ჩვენს ნამდვილად სახალხო ინტელიგენციაზე. მან წარმოთქვა მუშათა კლასის გამაერთიანებელ პროფკავშირთა, ჩვენი კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების სადღეგრძელოები.

ნ. ს. ხრუშჩოვმა შენიშნა, რომ კომუნიზმის მტრებს, თუმცა აღიარებენ სსრ კავშირის წარმატებებს მრეწველობაში, მაგრამ არ სურთ დაინახონ ეს წარმატებანი საბჭოთა სოფლის მეურნეობაში, საბჭოთა სოფლის მეურნეობა კი აჩქარებს თავის წინსვლას, განუხრელად აღწევს ალმავლობას. ყველაზე ნაყოფიერი შრომა, ყველაზე მაღალი უზრუნველყოფილობა იქნება სოციალიზმის ქვეყნებში, კომუნიზმის ქვეყნებში.

შემდეგი სადღეგრძელო მიეძღვნა სახელოვან საბჭოთა არმიას, რომელიც ჩვენი სახელმწიფოს დაბადების პირველი დღეებიდანვე ფხიზლად დგას მშვიდობის საგუშაგოზე. ნიკიტა სერგის-ძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირის ხალხებს, სოციალიზმის ქვეყნების ხალხებს, მშვიდობისმოყვარე პოლიტიკას რომ ახორციელებენ, უნდა ჰყავდეთ მძლავრი შეიარაღებული ძალები, თუ იმპერიალისტები ახალ ომს გაიჩაღებენ, ეს იქნება მათი უკანასკნელი ომი.

შემდეგ ამხანაგმა ნ. ს. ხრუშჩოვმა წარმოთქვა სახელოვანი კომკავშირის, საბჭოთა ახალგაზრდობის — ჩვენი მომავლის სადღეგრძელო. მჭუხარე ტაშით შეხვდნენ სახელოვანი კომუნისტური პარტიის, ლენინის პარტიის სადღეგრძელოს.

დარბაზში ერთ-ერთ ადგილზე ამოდგა ბელადი — ნიკიტა სერგის-ძე. ... ...

ასე იწერებოდა შვიდწლედის მატიანე

ხელოვნების ოსტატი

ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისს ცაკრიალა შემოდგომა ჰქონდა. ზამთარი აქ ჯერ კიდევ არ შესულა ძალაში.

ბოლო-სიცივეს მაჩვენებელ თერმომეტრში ეკარცელსწყალს ჯერ ნულს ქვემოთ არ დეფუნვია. თოვლი და ღრუბელი საბადურ-იალნოს მწვერვალებზეც კანტკანტად ჩანს.

ქალაქში ასე საამური ზამთრით კმაყოფილი ინვენერი ქალი ნენუ ზვადიევი, ჯერ კიდევ საზაფხულო ტანსაცმელში გაწიწყობილი, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებელო ქარხნის სუფთა, ყვავილოვან და მარადმწვანე ხეივნებიან ეზოში გამოსულა, რადაცას თუ ვიდაცას ელის. წერწეტა ტანის რხევით ასფალტზე მიდი-მოდის. ხანდახან თავს დაბრის, დახედავს მაჯის საათს,

— სადაც არის, ორ-სამ წუთში, დასენება იქნება. ავთანდილ ხარიტონაშვილი ინ ამ კარიდან გამოვა ეზოში გასასეირნებლად, — ამბობს ქალი. — რაღა მას, ამ ხეივნებში, ასე სუფთა ჰაერზე გამოსვლა ყველას უყვარს.

ნენუს, ინჟინერ-ეკონომისტს, სხვაზე ადრე არ მოუსვენება ის, რომ ქარხნის წარმატება ადამიანებზეა დამოკიდებული. ამიტომაც ეზობლიური საწარმოს ყველა მოწინავე თუ ოინგიანი, თუნდაც გუშინ საშუშაოზე მიღებული ახალბედა, მას საკუთარ სიეოცხლესავით უყვარს და, თუ საჭიროება მოიტანს, თავსაც შემოვლება.

— თავი მაღლა ასწიეთ, თვალი მოავლეთ ადგილს, ჩვენი ლამაზი, მარჩენალი ქარხნის სამოსახლოს, — შეგახსენებთ ავთანდილ ხარიტონაშვილი ინ ამ კარიდან გამოვა ეზოში გასასეირნებლად, — ბაბალეს ბუნებრივ ადგილზე ეკეთა ჩვენში, ვერც სხვაგან ადვილად ვერ შეხვდებით დიდ ქარხანას. იგი მშვენიერი — ღონიერი დედაქალაქის დიდებე-ნაძალადევის უბნების შესაყარზეა მტკვრისპირა ვეებერთელა კბოდეზე. მაშინვე იქ ყურთასმენაში მოგეხვდება ვიოლინოს სიმის ბგერასებრი მტკვარი ბუტბუტი. დაკეკბრის ღამენათეკი დედა-მდინარე მზიანი დილის ნასლსა და ოხშივარში გაბეულა. მიტბორავს და ღერწა ტალღოთა ამიკეთ უბეში ეხუტება დიდმის ხიდის თაღებს. მერე სწრაფად ნაბორნალისა და დიდმურას ხეივნის რიყეზე რიალდება.

ხიდის ყურესა და ჯუჯგ შენობებით ახორაგებულ ადგილზე დაკვირვებული თვალსაჩინოებას ადვილად გამოსაცნობ მოედნის მოხაზულობას, გარს შემოკარვიან მაუდ-კამეოლისა და კლავიშებიანი ინსტრუმენტების კომბინატი, სახელი ჩარხებისა და ავტოშემკეთებელი ქარხნები, სკოლები, საცხოვრებელი სახლები დიდმის ფასვიანა. როცა ნაკარაუდევი მოედნის ზედაპირიდან შენობები აიდება, ამ ადგილს ჩვენს ქალაქებში სიხალვათით, მშვენებით და გარშემო განლაგებული საწარმოებით სხვა ადგილი ვერ ეკობება. იგი ხომ დღესაც თვალწარმტაცი სანახაობა. თბილისის ეს უბანი ვის მოთვლას, რამდენ ათეულ, ასეულ და ათასეულ ადამიანს აძლევს საზრდოს.

აუეა, დიახ! მაგრამ მაინც არ არის პეიზაჟებით და ოცნებებით გატაცების დრო. პირველად ყოველისა გასარკვევ! ნენუმ რომ მიგვითითა, ის კარი უკვე გაღო. ხეივნებში მუშები გამოდიან დასასვენებლად. ავთანდილ ხარიტონაშვილს უნდა ადგენოთ თვალი, ეოკად გაეტაცოს საქმეზე, ეოოიომ ვეღარ ნახავთ. ის ავთანდილიც. ყველაზე გვიან გამოვიდა გარეთ. მოდის ხეივნის სიღრმისაკენ. საშველო ტანის, გამხდარი, წაბლისფერქოჩრიანი. მსხვილი სიეოცხლით და გონებით სავსე თვალები აქვს, რკინის, ფოლადის სსმენელებთან რთული დაზგების ნაწილთა გამჩარხავს. ერთი შეხედვით შეატყობთ, რომ ეს კაცი ცივ რკინასაც ჩაბერავს სიეოცხლეს.

თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხანას სწორედ ასეთმა მშრომელებმა გაუთქვეს სახელი. სოფელ ვეკინელი მევენახის შთამომავალი ავთანდილი, ოე კი არ მოერიდებით და ბაკოთხეთ, ვეტყვით, სადმდეც აღწევს ამ ქარხნის აშენებული რკინის მანქანები. ის დაგისახელებთ ევროპის დემოკრატიულ ქვეყნებს, წინა აზიის სახელმწიფოებს, ინდოეთს, ვიეტნამს, არაბეთის ქვიშიან უდაბნოებში გაბნეულ ქალაქებს, რომლებიც თბილისის ჩარხსამშენებლო ქარხნის ტექნიკურად მაღალი ხარისხის, იაფი, გამძლე მანქანებით თავიანთი მომავლისაკენ გაბედულად ისწრაფვიან.

ქარხნის ეგზომ შორს გავარდნილი სახელი თბილისელ ჩარხმშენებელს სამშობლოს დიდ პროგრესად, დაწინაურებად და გამარჯვებად მიაჩნია. ამის შეგნება სიამაყით უვსებს გულს.

ერთადერთი უნივერსალური ჩარხი აბარია ავთანდილ ხარიტონაშვილს. ჩარხი ქარხნის მთავარი კორპუსის კედლის გასწვრივ დაუდგამთ ეჩინარ ადგილზე. შესახედავად მაინცდამაინც არ ავთანდილი გოლიათი. თუმცა მისი სახელი და დგული სახოგადოებაში კარგად ცნობილი და გარკვეულია. ახალგაზრდა კაცმა, რომელსაც ჯერ ოცდაათი წელიც არ შესრულებია, სხმულის ჩარხით დამუშავება ხელოვნებამდე, მეცნიერებამდე და სანუკვარ პროფესიამდე აიყვანა. ამ ოსტატობით ახარებს თავის ქვეყანას, ცოლშვილსა და საკუთარ თავს.

მისთვის, ვინც იცის, თუ რას ნიშნავს ქვეყნისა და ხალხის ცხოვრებაში, როცა მისი შვილები ჩარხები, მანქანების მშენებლობის და ლითონის გაძოდნობის საქმეს ღირსეულად ეუფლებიან, მერე ქვეყნის გარეთაც ეზიდებიან მას, ავთანდილისებრი ოსტატები მეტად მოსაფრთხილებელ აქტივში შედიან. ავთანდილ ცდილობს მუდამ მოწონაეთა შორის იყოს. მისი საზრუნაკია ლითონის დამუშავების ქართველ ხელოვანთა შორის ბეწვისოდენადაც ამაოის ჩამორჩეს.

გურჯაანელ ბიჭუნას ძარღვებსა და სისხლში დიდი ხანია ედგა სამშობლოს სიყვარულის კეთილშობილური გრძნობა, როცა ის ქარხნის სახურავქვეშ ჩარხთან მიეყვანეს.

ქვეყნის ტრფიალი მას ბავშვობიდანვე შთაუნერგა პარტიამ. ამ ძვირფასი იდეით ადამიანი ადვილად ეუფლებოდა ყველა ასაკის ადამიანს. ავთანდილ ხარიტონაშვილ ინ ამ ბავშვობიდან ეკეთა ეს ოცნება. ბავშვობა ომ-ომ-ომ. ბავშვობა ომ-ომ-ომ. ბავშვობა ომ-ომ-ომ

კუბა გულითადად მიესალმება საბჭოთა კოსმონავტს

ჰავანა, 1 იანვარი. საკადესის კორესპონდენტი ნ. ჩიგირი იუწყება:

კუბის სტუმარმოყვარე დედაქალაქი გულთბილად გვიგებს საბჭოთა კოსმონავტს პავლე პოპოვიჩს, რომელიც აქ ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაციის შემადგენლობაში კუბის რევოლუციის მეოთხე წლისთავის ზეიმზე.

31 დეკემბერს პავლე პოპოვიჩი ეცნობოდა ჰავანას. იგი იყო ქალაქის სხვადასხვა რაიონში. ყველგან, სადაც კი მივიდა გმირი კოსმონავტი, მას მყისვე ცნობდნენ და გულმხურვალედ მიესალმებოდნენ.

როცა პავლე პოპოვიჩი პრეზიდენტის სასახლეს ათვალიერებდა, ეს შეიტყო კუბის რესპუბლიკის პრეზიდენტმა ოსვალდო დორტიკოსმა. მან მიიწვია საბჭოთა კოსმონავტი კაბინეტში, სადაც ამ დროს მიმდინარეობდა თათბირი კუბის მთავრობის რამდენიმე წევრის მონაწილეობით. პავლე პოპოვიჩსა და ოსვალდო დორტიკოსს შორის გაიმართა მეგობრული, გულთბილი საუბარი.

მთელი კუბელი ხალხი მოუთმენლად მოელოდა თქვენს ჩამოსვლას, თქვა დორტიკოსმა, რადგან კოსმონავტს მამაცია. ძალიან მოხარული ვარ, რომ შემიძლია მოგესალმოთ აქ მეგობრულად, ისე რომ საჭირო არ არის არავითარი ოქმი.

პავლე პოპოვიჩმა მადლობა გადაუხადა პრეზიდენტს გულწრფელი სტუმართმოყვარეობისა და დიდი კმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ შესაძლებლობა მიეცა გაეცნოს გმირ კუბელ ხალხს. მე დავინახე კუბა კოსმოსიდან, თქვა მან, იგი მშვენიერი იყო. ახლა ვხედავ, რომ იგი უფრო მშვენიერია.

ჩვენ, ხაზგასმით აღნიშნა საბჭოთა კოსმონავტმა, არ დავტოვებთ კუბას გაჭირვებაში. საბჭოთა კავშირი მზად არის დაუჭიროს მხარი კუბას, გაუწიოს მას დახმარება და დაიცვას ყოველგვარი შესაძლებელი საშუალებით.

ჩვენ გვჯერა ეს, თქვა ოსვალდო დორტიკოსმა. ღრმად ვართ დარწმუნებული, რომ საბჭოთა კავშირი. ყოველთვის გაგვიწევს ძმურ მხარდაჭერას.

საბჭოთა კოსმონავტის შეხვედრამ კუბის პრეზიდენტთან და კუბის სხვა ხელმძღვანელებთან განსაკუთრებით გულთბილ ვითარებაში ჩაიარა. პავლე პოპოვიჩთან ერთად შეხვედრაზე იყო საბჭოთა დელეგაციის წევრი, რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ი. ფ. ლეონოვი.

ტოგოელები უსმენენ კოსმოსის გმირს

ლომე, 2 იანვარი. საკადესის კორესპონდენტი გ. გრამატჩიკოვი იუწყება: ამ ახალწლის დამეს ტოგოელებმა რადიოთი მოისმინეს სხვა ქვეყნების ხალხთა მილოცვები მთიდამი. ძმური სალამი გამოუგზავნეს მალის, გვინეის, სპილოს ძვლის ნაპირის მცხოვრებლებმა. და უეცრად ეთერში გაისმა რუსული მეტყველება. საბჭოთა ხალხის სახელით ტოგოს ეროვნული რადიოთი ტოგოელებს ულოცავდა საბჭოთა კოსმონავტი ანდრიან ნიკოლაევი.

„როცა თქვენს კონტინენტს გადავფრინდე, თქვა ნიკოლაევმა, ამომავალი მზის სხივები ფანტავდა სიბნელეს. აი, ვიფიქრე მე, თავისუფლების მზე ამოდის აფრიკის კონტინენტზე და ფანტავს კოლონიურ წარსულის ღრუბლებს. აფრიკის ახალგაზრდა სახელმწიფოები კოსმოსური ხომალდებია, რომლებმაც თავიანთი ორბიტები ამოირჩიეს. და რაც უფრო ძლიერი და რწმენით აღსავსე იქნება მათი ეკიპაჟები, მით უფრო ბედნიერი იქნება მათი მოგზაურობაც. ჩვენ კი მუდამ მზად ვართ დახმარების ხელი გამოგიწოდოთ როგორც ნამდვილმა მეგობრებმა“.

საბჭოთა კოსმონავტის ამ მეგობრულ მოლოცვას ტოგოელები დიდი სიხარულით შეხვდნენ.

დიდი ამოცანები

ჟაირო, 2 იანვარი. (საკადესი). ყველაზე სერიოზული პრობლემა, რომელსაც ახლა აწყდება ეგვიპტე, ის არის, რომ არ ჰყოფნის სპეციალისტები ეკონომიკის ყველა დარგში და აქვს ფინანსური სიძნელეები, განუცხადა ეგვიპტის პრეზიდენტმა სალამა ეგვიპტის ეროვნულ „ახარ საათ“-ის კორესპონდენტს. მთელი ოქრო, მთელი ძვირფასეულობა და ვერცხლის ტალერები განსვენებულმა იმამმა და მისმა ვაჟიშვილმა ელ-بادრმა გაიტანეს საზღვარგარეთ, შვეიცარიისა და იტალიაში. ნაზინა ცარიელია.

ახლა, თქვა პრეზიდენტმა, მთავრობა აგდგას განვითარების ყოვლისმომცველ ეკონომიურ გეგმის, რომლის შესასრულებლად საჭირო იქნება ბევრი სპეციალისტი. ამიტომ გადავწყვიტეთ გავგზავნოთ ჩვენი ახალგაზრდობა სასწავლებლად საზღვარგარეთ. უფრანგეს ყოველსა ახალგაზრდობის დიდ ჯგუფს გავგზავნით კაიროში, ხოლო შემდეგ მოსკოვსა და სხვა მეგობარი ქვეყნების დედაქალაქებში.

ძველი თემა ახალ წელს

ბარიზი, 1 იანვარი. (საკადესი). გუშინ საღამოს საფრანგეთის პრეზიდენტმა დე გოლმა საფრანგეთის რადიოთი და ტელევიზიით წარმოთქვა საახალწლო სიტყვა. პრეზიდენტმა მოკლედ შეაჯამა გასული წლის შედეგები და დახატა პერსპექტივები, რომლებიც, მისი სიტყვით, ისახება საფრანგეთის წინაშე 1963 წელს.

დე გოლმა უაღრესად ნათელი ფერებით დახატა პირადი ხელისუფლების რეჟიმის საქმიანობა გასული წლის განმავლობაში და ამტკიცებდა, საფრანგეთში არასოდეს არ ყოფილა ასეთი აყვავებული.

გულარტის გამოსვლა

რიო-დე-ჟანეირო, 2 იანვარი. (საკადესი). ბრაზილიის პრეზიდენტმა ჟოაო გულარტმა წარმოთქვა საახალწლო სიტყვა და განაცხადა, რომ ახალი წელი ახალ იმედებს უნერგავს ბრაზილიელებს. მე, თქვა მან, ვიცი, რომ ჩვენში ბევრი სიძნელეა. მაგრამ პესიმისტები როდი ვართ.

გულარტმა ილაპარაკა ბრაზილიის განვითარების მომავალ გეგმებზე.

როგორც ხაზგასმით აღნიშნა გულარტმა, ბრაზილია კვლავაც იბრძოლებს მშვიდობის შენარჩუნებისათვის, ხალხთა თვითგამორკვევისათვის, თანაარსებობისათვის.

ვისწავლოთ რუსებისაგან

ნიუ-იორკი, 1 იანვარი. (საკადესი). გაზეთმა „უოლ-სტრიტ ჯორნელმა“ გამოაქვეყნა სტატია, რომელიც ეძღვნება იმას, რომ იცვლება ამერიკის საზე საზღვარგარეთ. არც თუ დიდი ხნის წინათ, აღნიშნავს ავტორი, ამერიკის შეერთებული შტატები აღტაცებას იწვევდნენ თავიანთი ენერგიულობით. მაგრამ მსოფლიომ შეიძინა ახალი გმირები. რუსეთი მარტოოდენ ძლიერების სურათს როდი წარმოადგენს, მას ჰყავს უდიდესი ენერგიის ლიდერები. ჩვენ ძალიან ბევრი რამ შეგვიძლია ვისწავლოთ რუსებისაგან. მათ განაკვეთდნენ კაცობრიობის დიდი ნაწილი თავიანთი მამაცობით, თავიანთი მაძიებელი სულისკვეთებით.

„საბჭოთა ხელოვნება“ თქვენი მეკვლეა!

ახალი წლის პირველი დღეებია! მკითხველებს ახალ წელს მხურვალედ ულოცავს ჟურნალი „საბჭოთა ხელოვნება“. დიახ! შკმე გამოვიდა ამ ჟურნალის 1963 წლის პირველი ნომერი, რომელსაც თან ახლავს მრავალფერი ფურცელი ლადო გუდიაშვილის მხატვრობით. ეს თავისთავად საგულისხმო ფაქტია, და ჩვენც ვუსურვებდით ყველა ქართული ჟურნალის შეოქმედებით კოლექტივებს ასევე ეზეიმა ამ ჟურნალის ნომერი, ასევე გაეხარებინოთ ხალხი მეცნიერთა ბანი.

ჟურნალის პირველ ნომერში მრავალი საინტერესო მასალაა: სტატიები, ნახატები, ფოტოსურათები ერთ სარედაქციო წერილს „ახალი წელი, ახალი ამოცანები“ ჰქვია, მეორეს — „საბჭოთა მხატვარი ხალხს ეწმახურება“. დ. რონდელი თავის წერილში მოგვითხრობს ნოვატორობაზე და ტრადიციაზე საბჭოთა კინოხელოვნებაში. „პოეტური სახე“ — ასე ეწოდება ალ. ბეგიაშვილის საინტერესო წერილს. თავიანთ შემოქმედებით გეგმებზე მოგვითხრობენ მოსკოვში მცხოვრები ხელოვნების ქართველი მოღვაწეები კინოდრამატურგი გ. მდივანი, მხატვრები ი. თოიძე და ს. შილაკაძე, მსახიობები ვლ. კანდელაკი, ვ. კვაჭაძე, მოქანდაკე გ. თოიძე, კომპოზიტორი ნ. ნარიმანიძე, ბალეტმეისტერები ა. ჭიკანავა და ა. ლაფაური, მეფიოლინე მ. იაშვილი, მუსიკის მცოდნე ა. მშველიძე.

მკითხველები ინტერესით გაეცნობიან მ. გაზეჩილაძის წერილს ვახტანგ კოტეტიშვილზე და გ. ცინცაძის წერილს ახალგაზრდა დირიჟორ გ. ახმაიფარაშვილზე. ხუროთმოძღვართა სწავლების საკითხებს განიხილავს ვ. დავითაია, საქართველოს არქიტექტორთა მეექვსე ყრილობის მასალებს გვაცნობს თ. კვირკველია, მ. ლორთქიფანიძე მარკოზულ შთაბეჭდილებებს გვიზიარებს, ხოლო ბ. ზინგერმანი გამორჩენილი ფრანგი მსახიობების ჟან ვილარის, ჟერარ ფილიპისა და მარია კაზარესის შემოქმედებაზე მოგვითხრობს. ალ. მასხულია საბჭოთა ადამიანის სულიერ სილამაზეზე გვიკაუბრობა. მკითხველი ჟურნალის ამ საახალწლო ნომერში შეხვდება ეთეთმ გურჯასა და ხალხურ მომღერალ ლეგან ასაბაშვილს.

„საბჭოთა ხელოვნებამ“ მკითხველთან ახალი წლის პირველივე დღეს შეხვედრის სიხარული დაუკვეთა!

... ხელოვნება

მგზენათელი

დიდება სიამით და სიცოცხლით გაბრწყინებული, გულში იმედით სხივოსანი ახალი წელი.

კარი გავუღეთ, მივაგებეთ სიმდერა, სუფრა, ტაბლილდ დავლოცეთ 1963.

— ხალხთა მშვიდობა მოეტანოს ამ პლანეტაზე!
— ასე გაგუნებს თანამგზავრიც შორ ვარსკვლავეთში.

— ბედნიერება, აყვავება, ძმობის ზეიმი! — საამოდ რეკენ კურანტები კრემლის კოშკიდან.

მაშ გამარჯობა, ახალო წელო, ადამიანთა მშვიდობის მცველო!

ლხენით გვესტუმრე, კვლავ აანთე ნაძვის ხეები ათასნაირი სამკაულით დამშვენებული,

ააღდერტალეთ სიხარულით ჩვენი ბავშვები, ღიმილით სავსე, მერცხლებივით გალაღებული.

სიკეთის მეკვლედ მობრძანება გისურვებია, მოდი და ყველგან გაახარე კეთილი ნერგი.

ამ ნერგს ელტვოდნენ, შენატროდნენ მამა-პაპანი, ცვრად რომ აპკურეს თვისი სისხლი გმირულ ბრძოლაში,

ამ ნერგს უფლიდა, მფარველობდა დიდი ლენინი, „ავროროს“ ზალპით რომ დაიწყო ახალი ერა.

ახალო წელო, დაგვიბედე ტაბლი ცხოვრება, ძველიც გვახსენე, კარგი მუდამ გვემახსოვრება.

ვინ ჩამოთვალოს გმირი ხალხის ნაამაგარი, რაც ჩვენს ქვეყანას სიყვარულით უშენებია.

ცად აზიდულან გიგანტები, მძლავრი ქარხნები, მათი ნაწარმი ნაკადურად მოედინება.

ფერი უცვლია უდაბნოებს, გამტყდარ ყამირებს, იპყრობს ბუნებას შემოქმედი ადამიანი.

გაღვიძებიათ უკაცრიელ სტეპებს, ტაიგებს, ჭაბურღილებით დახრუნია მიწის გულ-მკერდი.

არ შევარჩინეთ წიალ-ქვესკნელს ნავთობ-მადანი, რამდენი განძი დაგვრჩა კიდევ ამოსაკეთანი!

ახლა შეხედეთ თვალუწვდენელ ველებს, ტრაქტორს — როგორ ვაზვავებთ ოქროსფერი პურის ყანებით!

სადაც თოვლის ქვეშ იფარება ტრაქტორთა ხნული, აანძინებს იქ ჯეკილებს კვლავ გაზაფხული.

ამა უმზრარეთ ამ მთა-ბორცებს, რა ლამაზია, აქ ხომ ქართული მიწის მადლი, ტიფუა ვაზია.

კარგად მოისხეს ვენახებმა შარშან და ადრეც, როგორ იქნება მზე, ყურძენი არ შეგვიყვარდეს!

დადფულებულა დიდ ქვევრებში ვაზის მირონი, და დღეს სუფრებზე გვალოცვინებს ადამიანებს.

წელსაც ემატოს სამშობლოში მარნებს მარნები, ბელს გვიბერებდეს ჯანრეთის, ბედნიერება.

მოქარგულია ველ-კორეტები ჩაის ხავერდით, ბზინავს ბუქმენტი მწვანე ოქრო ფოთლებ[illegible]

[illegible] ... ველ-ბალ[illegible]

[illegible] ... ველ[illegible]

[illegible] ... ველ[illegible]

[illegible] ... ველ

ახალი ამბები

მკითხველთა წერილებიდან

□ ძველთა დაცვის გეგეჭკორის რაიონულმა საბჭომ (თავმჯდომარე გ. ელიავა) გადაწყვიტა თავის რაიონში არსებული ძეგლების შესწავლა და გამოვლინება. ამ მიზნით მოეწყო რამდენიმე ექსპედიცია. შეკრიბეს 60-ზე მეტი ნივთი და მასალა, ასზე მეტი გადმოცემა, ლეგენდა და სხვ.

ჩაწერეს 500-ზე მეტი ტოპონიმიკური მასალა.

ი. ნუცუბიძე.

□ ამ დღეებში საჩხერის რაიონში გაიმართა თბილისის მეანობა-გინეკოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექციის გამსვლელი სხდომა საჩხერის მეან-გინეკოლოგთა აქტივთან ერთად.

სხდომის მუშაობაში მონაწილეობდნენ გინეკოლოგიური სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი პროფესორი შ. ქორიძე, დოცენტები მ. ყორეულიანი და ე. მესხი, ჯიათურის სამშობიარო სახლის მთავარი ექიმი ბარათაშვილი, ქალთა კონსულტაციის გამგე კურცხალია და სხვ.

ა. ანასაშვილი.

□ ამბროლაურის რაიონის ღვიარაბოსტანის კოლმეურნეობა წლების განმავლობაში მოკლებული იყო რადიომომსახურებას.

ამ ნაკლის გამოსწორებისათვის იზრუნა კოლმეურნეობის გამგეობამ — შეიძინეს რადიოდანადგარი, გაიყვანეს მთავარი ქსელი 7 კილომეტრზე, და ახალი წლის წინადღეებში რადიოკვანძი ამუშავდა.

(„კომ." კორ.).

ლაღოგენ ნორჩეგი

ჩქარობდნენ მარინე და ლია... მათ საყვარელ სასახლეში საახალწლო ზეიმი მოელოდათ. თბილისის პიონერთა სასახლე... აი ისინი უკვე შესასვლელში არიან. გოგონები მოელოდნელად თოვლის გარემოკვაში მოხვდნენ. ვარსკვლავებად დაჭრილი ქაღალდის ფურცლები თითქოს ჭერიდან ცვიოდა და ზამთრის სურათს ქმნიდა. ირგვლივ მხიარული მუსიკის ხმები ირხეოდა. მარინე და ლია კიბეებისაკენ გაიქცნენ. მაგრამ, შეხეთ, აქ რა მოუწყვიათ! — სასრიალო. პატარები ყიყინით მორბიალებდნენ დახლა, ზეთოთ კიტყის ბინადარნი — ზღაპრებისა და საოთვეაღსასავლო მოთხრობების გმირები მოჩანდნენ. გოგონების თვალს იტაცებდა ყველაფერი.

— აგერ აიწონა-დაიწონა! აბა მოდი, ლია! — უთხრა მარინემ ამხანაგს და კუბოზე გადებულ ფიცარზე შემოჯდა. ბავშვთა მხიარული ქრიამული მოისმოდა თეთრი დარბაზიდან.

გაისმის საყვირის ხმა. ბავშვები საკონცერტო დარბაზში გადიან. ჩაბნელებულ ცვენაზე ეკრანი აინთო. დაიწყო მულტიპლიკაციური ფილმი. მას სასახლის თოჯინების თეატრის წარმოდგენა მოჰყვა. შემდეგ — კონცერტი. ნორჩმა მომღერლებმა და მოცეკვავეებმა მოხიბლეს თანატოლები. სცენაზე ძველი წელი გამოვიდა. იგი სინანულით ეთხოვება პატარებს.

მის სანაცვლოდ მოდის ახალი, 1963 წელი. ცეკვა-თამაში გრძელდება.

— ნაძვისხე სადღაა, როდის გვიჩვენებენ? — ჩასჩურჩულებს მარინე ლიას.

თითქოს პატარების გულისნადები ამოიკითხა, ახალმა წელმა ნორჩები სარკეებიან დარბაზში გაიყვანა. აი აქ დგას მათი სანატრელი ნაძვისხე. მაგრამ იგი ჩაბნელებულია.

— აანთეთ ნაძვისხე, აანთეთ! — ერთხმად გაიძახიან პატარები, და ნაძვისხეც აელვარდა. სიმღერას, ცეკვას, თამაშს მეტი ზნო და ლაზათი მიეცა.

დიდხანს გაისმოდა თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან ბავშვთა მხიარული ხმები.

ეს საახალწლო ზეიმი აქ მხოლოდ გუშინ დაიწყო და 11 იანვრამდე გასტანს.

საახალწლო ნაძვისხეზე გიწვევთ, პატარებო!

ლ. ხუბულური.

სურათზე: საახალწლო ზეიმი თბილისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

„შრომა — ცხოვრების წყარო"

ცხინვალი. (საკ. კორ.). სამხრეთ ოსეთის საბელმწიფო გამომცემლობამ ოსურ ენაზე გამოსცა ჟურნალისტთა ნარკვევების მეორე კრებული „შრომა — ცხოვრების წყარო".

კრებულში მოთავსებულია სამხრეთ ოსეთში მომუშავე წამყვანი ჟურნალისტების ნარკვევები, რომლებიც ასახავენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის თავდადებულ შრომას, ცხოვრებას.

კრებულის რედაქტორია ოსი მწერალი ვლადიმერ გაგლოევი.

ქართველი მეცნიერები პარიზში, სტოკჰოლმში

გასული წლის მაისში საფრანგეთში სამეცნიერო მივლინებაში ყოფნის დროს დოცენტმა ი. ტაბაღუამ პარიზში ფრანგულ ენაზე წაიკითხა მოხსენება „საფრანგეთი 1870 წლის შემდეგ და რუსეთ-საფრანგეთის კავშირის მნიშვნელობა". ამ მოხსენების ერთი ნაწილი სათაურით: „ბისმარკის კოშმარი კოალიციები" დაიბეჭდა ფრანგულ ჟურნალში „საფრანგეთ-სსრ კავშირი".

1960 წელს სტოკჰოლმში (შვეცია) გაიმართა ისტორიკოსთა XI საერთაშორისო კონგრესი, რომელსაც საბჭოთა კავშირიდან ესწრებოდა 44 ისტორიკოსი, მათ შორის საქართველოდან — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, ლენინური პრემიის ლაურეატი გ. მელიქიშვილი და დოცენტი ი. ტაბაღუა. აკადემიკოსმა გ. მელიქიშვილმა კონგრესზე ფრანგულ ენაზე წაიკითხა მოხსენება: „ნაირიტურარტუს ძირითადი საკითხები უახლეს გამოკვლევათა შუქზე", რომლის რეზიუმე დაიბეჭდა კონგრესის მასალებში.

ამას წინათ სტოკჰოლმში გამოქვეყნდა „კონგრესის აქტების" ერთტომეული, სადაც მიმოხილულია გ. მელიქიშვილის მოხსენება და მოთავსებულია აგრეთვე კონგრესზე ბელგიელი პროფესორის ა. ჰაააგის მოხსენების — „გერმანიის სოციალ-დემოკრატია და პირველი მსოფლიო ომი" — ირგვლივ გამართული კამათის დროს დოცენტ ი. ტაბაღუას მიერ ფრანგულ ენაზე წარმოთქმული მოკლე სიტყვის შინაარსი.

85 წლის მოხუცის მამაცობა

ამბროლაურის რაიონის სოფელ სადმელის მკვიდრი 85 წლის ნ. ჯაფარიძე გზაზე მიდიოდა. უეცრად მის წინ საშინელი ამბავი დატრიალდა. ხიდზე მიმავალ თეთრბაბოიან გოგონას ფეხი დაუსხლტდა და წყალში გადავარდა. მოხუცმა ირგვლივ მიმოიხედა, მშველელს ეძებდა, მაგრამ არავინ ჩანდა. თბილი ზამთრის ხანგრძლივი წვიმებით აზვირთებული მთის მდინარე გოგონას რიონის შესართავისკენ მიაქანებდა. მოხუცმა ტანსაცმლიანად შეცურა მდინარეში.

მალე სტიქიასთან ბრძოლაში გამარჯვებული ნესტორი გრძნობადაკარგულ მეათე კლასელ მოსწავლეს ნანი დვალს მახლობელი საავადმყოფოსაკენ მიარბენინებდა. ნ. დვალი ახლა კარგად გრძნობს თავს. იგი მოხუცის მამაცობამ გადაარჩინა.

აკ. კერესელიძე.

შეხვედრა ა. ჰარხომენკოს მეუღლესთან

ამას წინათ ქალაქ სამტრედიაში სტუმრად იმყოფებოდა სამოქალაქო ომის ლეგენდარული გმირის ა. ი. პარხომენკოს მეუღლე ნინა იოსების ასული პარხომენკო, რომელსაც ქალაქის მოსწავლეებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყეს. მოსწავლეებს წინაშე იგი გამოვიდა მოგონებებით სამოქალაქო ომის გმირის ცხოვრებასა და საბრძოლო ეპიზოდებზე.

მოსწავლეებმა ძვირფას სტუმარს ცოცხალი ყვავილების თაიგული მიართვეს.

დ. გოგიტიძე.

ოთვლის ქაღის შემდეგ

„ოლიმპიური ჰორიზონტი"

„ფრანს ფუტბოლის" ანკეტა

ახალი წლის წინა დღეებში ჟურნალმა „ფრანს ფუტბოლმა" მოაწყო სპორტულ მომომხილველთა ტრადიციული გამოკითხვა (ანკეტა) — „ვინ არის 1962 წელს უძლიერესი ფეხბურთელი ევროპაში?".

გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ევროპის ქვეყნების ჟურნალ-გაზეთების ცხრამეტმა მიმომხილველმა.

პირველი ადგილისათვის ფეხბურთელს ეწერებოდა 5 ქულა, მეორისათვის — 4 ქულა, მესამისათვის — 3 ქულა, მეოთხისათვის — 2 ქულა, მეხუთე ადგილისათვის — 1 ქულა.

ცნობილმა ჩეხოსლოვაკიელმა ფეხბურთელმა ნახევარმცველმა **როზეფ მასოპუსტმა** მიიღო 9 პირველი ადგილი, 3 — მეორე, 2— მესამე, 1 — მეოთხე და 65 ქულით აღიარებულ იქნა ევროპის უძლიერეს, ანუ № 1 ფეხბურთელად 1962 წელს.

ი. მასოპუსტის „წინამორბედები" მეტწილად თავდამსხმელები იყვნენ. მაგალითად, 1956 წელს ევროპაში № 1 ფეხბურთელს სახელი მოიპოვა ცნობილმა ინგლისელმა ფორვარდმა **მეტიუზმა.** შემდეგ ესტაფეტა მიიღეს **კოპამ, სივორმა, სუარესმა** და სხვ.

გამოკითხვის შედეგად ევროპის № 2 ფეხბურთელად დასახელებულია „ბენფიკას" საკლუბო გუნდის მარკვენა. შუამავრი **ეისებიო.** მესამე ადგილი ხვდა „კელნის" (გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა) გუნდის მცველს **შნელინგერს.** უძლიერესთა რიგებში დასახელებულ არიან აგრეთვე **შეკულარაცი** (იუგოსლავია), **ჟიურიონი** (ბელგია), **რივერა** (იტალია), **ჩარლზი** (უელსი), **გალიჩი** (იუგოსლავია), **გერჩი** (უნგრეთი), **კოპა** (საფრანგეთი), **ლო** (ინგლისი), **კვაშნიაკი, შროიფი** (ჩეხოსლოვაკია) და სხვ.

ორი ლიდერი

რესპუბლიკურ საჭადრაკო კლუბში რამდენიმე დღეა გრძელდება თბილისის 1963 წლის საჭადრაკო ჩემპიონატი ვაჟთა შორის 10 ოსტატობის კანდიდატისა და 7 პირველთანრიგოსნის მონაწილეობით. აქ პირველ 8 ადგილზე გამოსული მოჭადრაკე მონაწილეობას მიიღებს საქართველოს პირველობის გათამაშებაში.

უკვე შედგა 3 ტური. ჩემპიონატს 2 ლიდერი ჰყავს. ესენი არიან ოსტატობის კანდიდატი ი. ჩიქოვანი და პირველთანრიგოსანი ფ. ელიოზიშვილი, რომლებსაც ორნახევარ-ორნახევარი ქულა აქვთ.

ჰასტინგსის ტურნირზე

საახალწლო საერთაშორისო ტრადიციული საჭადრაკო ტურნირი ჰასტინგსში ფინიშს უახლოვდება. უკვე გათამაშდა 5 ტური. სატურნირო ცხრილში გარკვეული სიცხადის შესატანად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა გადადებული პარტიების დამთავრებას, რომელიც გუშინ გვიან ღამით შედგა.

მეხუთე ტურში იუგოსლავიელმა გროსმასტერმა გლიგორიჩმა დაამარცხა ინგლისელი მოჭადრაკე ალექსანდერი, გროსმასტერმა კოტოვმა — ტანა. სმისლოვი ამ დღეს ყაიმს დასჯერდა.

დედაქალაქის ლამაზ და კეთილმოწყობილ სასტუმროებს კიდევ ერთი „ძმა" მიემატება.

აბასთუმნის ქუჩაზე, ვაგზლის მოედანთან მშენებლებმა ხარაჩოები მოხსნეს ახალ სასტუმრო „კოლხიდის" შენობას. იგი სულ მალე პირველ სტუმრებს მიიღებს.

სურათზე: სასტუმრო „კოლხიდის" ხედი. ფოტო შ. ჩხეტიანისა.

თამაშის მაგია

საახალწლო დღეებში, როდესაც ადამიანები კეთილი სურვილებით მიმართავენ ერთმანეთს და მომავალში წარმატებებს უსურვებენ, ფეხბურთის სამყაროც თავის მომავალსა და პერსპექტივებზე ფიქრობს. ამას წინათ მომიხდა პასუხი გამეცა შეკითხვებზე, რომლებიც პარიზის „ფრანს ფუტბოლის" რედაქციამ დამისვა. ელაპარაკობდი რა იმაზე, თუ რა იქნება სასურველი, აღვნიშნე, რომ ყველანი უფრო ღრმად უნდა ჩავწვდეთ ბრაზილიური სისტემის სულს, არსს.

ასეთი აზრი ერთი შეხედვით შეიძლება ძალიან სპეციალური გეჩვენოთ. ბოლოს და ბოლოს ტაქტიკის საკითხები სპეციალისტებისა და მწვრთნელების საქმეა. გულშემატკივრებს კი, რომლებიც მილიონებია, პირველ რიგში უნდათ, რომ თამაში იყოს საინტერესო, რომ ფეხბურთი იყოს ლამაზი. ერთი სიტყვით, საჭიროა განცდები, მაგრამ ფეხბურთში, ისევე როგორც თეატრში საბოლოო შედეგი მრავალი კომპონენტის შეერთებისა და ჯამის ნაყოფია. რასაკვირველია, მაყურებელს საქმე არა აქვს მწვრთნელის რეფერსურასთან, მაგრამ ზოგიერთი დეტალი უნდა გვაფიქრებდეს, იმიტომ, რომ მათზეა დამოკიდებული მიველოთ ემოციათა ის სიმდიდრე, რისთვისაც მივიჩქარით სტადიონისაკენ.

აი რაშია საქმე. უკვე რამდენიმე წელია ფეხბურთის სამყარო შეშფოთებულია ნულოვანი ფრეების აჩრდილით. დაცვითი იდეები გუნდების ხელმძღვანელთა გულს აპყრობს თავისი მოჩვენებითი სიადვილით. ეს ტენდენცია ერთ დროს კიდევაც დამკვიდრდა ჩვენს მინდვრებზე, მას თავისი მომხრეები და მქადაგებლებიც ჰყავს. აქ არის ქულებისათვის ზრუნვა, ლაპარაკი იმაზე, რომ აზრიანად ორგანიზებულ დაცვაში ესთეტიკისა და გონების ელემენტებია, აქ გადაჯდებული ხელთათმანიც არის — მოდით, სინჯეთ, გაარღვიეთ ჩვენი „ბეტონი", თქვენ, შემტევი ფეხბურთის მომხრეებო.

ვთქვათ, გუნდი, რომელსაც დიდი ხანია განუყოფლად ეკუთვნის თქვენი გული, ზედიზედ ამთავრებს შეხვედრებს უფერული ანგარიშით — 0:0. თქვენ ერთგვარად კმაყოფილი ხართ, რომ ამ გუნდის ბადე შეურხეველი დარჩა, მაგრამ რომელიღაც მომენტში უთუოდ ჩაიქნევთ ხელს და იტყვით — აღარ წავალ სტადიონზე, ვიდრე ბურთების გატანას არ დაიწყებენ. და თქვენ მართალი იქნებით. იმიტომ რომ ფეხბურთი უნდა იყოს ემოციური, ტრიბუნებმა უნდა იფეთქონ, როდესაც ბურთი გზას ნახულობს კარისაკენ.

ახლა ყველანი ძაბავენ გონებას თამაშის ახალ სისტემაზე, რომელიც ასე შესანიშნავად წარმოადგინეს მსოფლიოს ორ უკანასკნელ ჩემპიონატზე „ოქროს ქალღმერთის" რაინდებმა — ბრაზილიელებმა. ჩვენში იცოდნენ ეს ოთხი წლის წინათაც, მაგრამ რატომღაც მორიდებით ეპყრობოდნენ. ითვლებოდა, რომ სისტემა კარგია მხოლოდ მაშინ, როდესაც მას ისეთი შემსრულებლები ჰყავს, როგორიც არიან პელე, დიდი და გარინჩა.

როგორც იქნა, ყინული დაიძრა. ჩვენს ჩემპიონატში, გასულ წელს გაიელვა ბრაზილიური სისტემის პირველმა ესკიზებმა. ეს უწინარეს ყოვლისა ჩემპიონატის სამი პრიზიორის დამსახურებაა. (მოსკოვის „სპარტაკი", მოსკოვის „დინამო" თბილისის „დინამო", აგრეთვე ცსკა და დონეცკის „შახტიორი"). შემოქმედებითი თვალსაზრისით გასული წლის ჩემპიონატი უველაზე საინტერესო ადგილას შეწყდა, რას მისცეს თამაშს, როგორც სანახაობას, ბრაზილიური სისტემის შემდგომი განვითარება და სრულყოფა? ვგონებ, ყველა პირობა არსებობს იმისათვის, რომ მაყურებელი წელს გაცილებით მეტ სიამოვნებას მიიღებს, ვიდრე გასულ წელიწადს. ამით კი ყველანი დაინტერესებული ვართ. მით უმეტეს, რომ ტელევიზორის საშუალებით მაყურებელთა აუდიტორიის სიდიდის დასახელება შეუძლებელია.

ოლიმპიური ჰორიზონტი

... ...

... ...

... ...